საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 174

2011 წ. "01" 09.

ქ. თბილისი

შპს - საქართველოს ქართულ-ამერიკული საშუალო სკოლა ,,რებერ სქულისათვის" ავტორიზაციის გაუქმების შესახებ

2011 წლის 1 სექტემბრის ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის, ამავე კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის შესაბამისად, საკუთარი განცხადების საფუძველზე,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს - საქართველოს ქართულ-ამერიკულ საშუალო სკოლა ,,რებერ სქულს" (საიდენტიფიკაციო კოდი: 203867583) გაუუქმდეს ავტორიზაცია.

2. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 1 სექტემბრის №18 სხდომის ოქმის პირველი ნაწილის „ა" ქვეპუნქტი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
კახი ყურაშვილი

მდივანი
ანა კლდიაშვილი